1. **პროგრამის სახელწოდება: გენდერის კვლევა** *(ინგლისურენოვანი, საერთაშორისო პროგრამა, შემუშავდა სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის გრანტის ფარგლებში, კოდი: EO476)*

2. **მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია:** გენდერის დოქტორი, PhD in Gender

3. **პროგრამის ხელმძღვანელი: ჯოანა რეგულსკა,** რათგერსის უნივერსიტეტის პროფესორი, ვიცე-პრეზიდენტი საერთაშორისო და გლობალურ საკითხებში, რატგერსის უნივერსიტეტი.
   Joanna Regulska (regulska@gaiacenters.rutgers.edu); Professor of Women's Studies and Geography; Vice President for International and Global Affairs, Rutgers, The State University of New Jersey; 30 College Avenue, New Brunswick, NJ 08901; tel 848-932-1777 ; fax 732-932-1979
   პროგრამის თანახელმძღვანელი: თამარ საბედაშვილი, ასოცირებული პროფესორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ტელ: 599501168

4. **სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:**

ა) პროგრამის მიზანი:

გენდერის კვლევის სადოქტორო პროგრამის მიზანია გენდერის კვლევის დისციპლინაში ახალი ცოდნის გენერირება, არსებული ცოდნის გაღმავება, გამოყენება და გავცელება სწავლებისა და სამეცნიერო ნაშრომების მეშვეობით სოციალური კვლევის მეთოდებში გაღმავებულ დონეზე ინტენსიური ტრენინგის განხორციელება, დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის განხორციელებისა და აკადემიური სწავლების პრაქტიკისათვის აუცილებელი უნარების განვითარება.

პროგრამა მოამზადებს მაღალი დონის მკვლევარებსა და პრაქტიკოსებს გენდერის კვლევის დისციპლინაში. კურსდამთავრებულებს ექნებათ გენდერის თეორიული და ფილოსოფიური საფუძვლების გაღრმავებული ცოდნა, განავრცობენ გენდერში დამოუკიდებელი კვლევების ჩატარების და გენერირებული ინფორმაციის დამუშავების უნარებსა და ხერხებს, გამოიყენებენ გენდერულ პერსპექტივას ნებისმიერ პრობლემური ანალიზის დროს და შეეძლებათ დისციპლინის სწავლება უმაღლეს სასწავლებლებში ახალი მეთოდოლოგიების გამოყენებით.

პროგრამის ძირითადი ნაწილი ეთმობა კვლევას, მოიცავს სასწავლო კომპონენტს, და ისახავს შემდეგ ამოცანებს:

- სტუდენტთა სადოქტორო კვლევის ხელშეწყობა და განვითარება,
- გენდერის კვლევაში თეორიული ცოდნის გაღრმავება და სრულყოფა, ახალი ცოდნის გენერირება
- აკადემიური სწავლების/პედაგოგიკის უნარების განვითარების ხელშეწყობა.

შესაბამისად, პროგრამის კურიკულუმი შედგება სამი მიმართულებისგან: ძირითადი, დისციპლინის მიხედვით გაღრმავებული ცოდნის შეძენა და ახალი ცოდნის გენერირება, კვლევისა და სწავლების ახალი მეთოდოლოგიების ათვისება და მომზადება აკადემიური პრაქტიკისათვის.

ბ) სწავლის შედეგი:

ბ.ა) ცოდნა და გაცნობიერება:

სადოქტორო პროგრამა სთავაზობს დოქტორანტებს ცოდნის ახალ დონეს დისციპლინაში. პროგრამის მთავარი ღირსება ისაა, რომ დისციპლინაში დაგროვილ ცოდნას დოქტორანტებს მიაწვდის მეთოდოლოგიის უახლესი ცოდნის პრიზმაში. პროგრამა მოიცავს დისციპლინაში დაგროვილი ცოდნის გადაცემის თანამედროვე საშუალებებს, რაც დოქტორანტებს საშუალებას აძლევს გაიაზრონ და აითვსონ დისციპლინის საკვანძო დებატები, ლიტერატურა, მიდგომები, მეთოდოლოგია, ძირითადი სკოლები და ამ სკოლების ისტორია.

ცოდნის გარდა, დოქტორანტები გააცნობიერებენ, თუ რა მიმართულებებით ვითარდება დისციპლინა, რათა შეძლონ დამოუკიდებლად განაგრძონ კვლევა და ეფექტური სწავლება პროგრამის დასრულების შემდეგ. მათი ერთ-ერთი მთავარი შენაძენი პროგრამიდან არის ის, რომ მათ შეეძლებათ დამოუკიდებლად გაიაზრონ დისციპლინის მდგომარეობა საერთაშორისო დონეზე და შეძლონ დამოუკიდებლად ორიენტირება კვლევებში დისციპლინის განვითარების კვალდაკვალ.

ბ.ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

დოქტორანტები სადოქტორო პროგრამიდან 'ისწავლიან, თუ როგორ ისწავლონ დამოუკიდებლად'. ეს ნიშნავს, რომ მათ შეეძლებათ დამოუკიდებლად შექმნან საკვლევი პროგრამა, რომელიც არ გაიმეორებს არსებულ ცოდნას და მათ დარგში მსოფლიოში მიღწეული ცოდნის ფარგლების დამოუკიდებლად გაფართოებას შეძლებენ. მათ ასევე შეეძლებათ გაიაზრონ, თუ რა წარმოადგენს კვლევითი მეთოდების უახლეს დონეს, რათა შეძლონ სამეცნიერო დებატების წარმართვა უახლესი მეთოდოლოგიის საშუალებით და მოახერხონ ამ მეთოდოლოგიის დახვეწა და პრაქტიკულ კვლევაში დამაჯერებლად გამოყენება.

მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შეფასების მთავარი კრიტერიუმი მსოფლიოში აღიარებული საერთაშორისო გამომცემლობებისა და რეფერირებული გამოცემების ფარგლებში კვლევის შედეგების გამოქვეყნებაა.

პროგრამის კურსდამთავრებულებს შეეძლებათ დისციპლინაში არსებული ცოდნის სინთეზი და ახალი ცოდნის გენერირება; ექნებათ უნარი ჩაატარონ კვლევა, კრიტიკულად შეაფასონ საკვლევ საკითხთან დაკავშირებული მიდგომები, თეორიულ ცოდნაზე და კვლევის მეთოდოლოგიურ უნარებზე დაყრდნობით წარმოადგინონ საზოგადოების წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტის გზები და საშუალებები.

ბ.გ) დასკვნის უნარი

პროგრამის კურსდამთავრებულებს შეეძლებათ დისციპლინაში არსებული ცოდნის სინთეზი და ახალი ცოდნის გენერირება; ექნებათ უნარი ჩაატარონ კვლევა, კრიტიკულად შეაფასონ საკვლევ საკითხთან დაკავშირებული მიდგომები, თეორიულ ცოდნაზე და კვლევის მეთოდოლოგიურ უნარებზე დაყრდნობით წარმოადგინონ საზოგადოების წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტის გზები და საშუალებები.

ბ.დ) კომუნიკაციის უნარი:

პროგრამის კურსდამთავრებულებს შეეძლებათ თავიანთი მოსაზრებები და კვლევის დასკვნები სათანადო ფორმით მიაწოდონ საზოგადოებასა და სამეცნიერო წრეებს როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი სახით. მათ შეეძლებათ თავისუფლად აწარმოონ თეორიული დისკუსია სფეროში მომუშავე სპეციალისტებთან საერთაშორისო მასშტაბით; მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო კონფერენციებში; დამოუკიდებლად მიაღწიონ საკუთარი მოსაზრებებისა და კვლევის საერთაშორისო ასპარეზზე გატანასა და აღიარებას; პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტებს გახდნენ საერთაშორისო აკადემიური ქსელის წევრები.

ბ.ე) სწავლის უნარი:

პროგრამის კურსდამთავრებულებს შეეძლებათ მოახდინონ ცოდნის სინთეზი და ახალი ცოდნის გენერირება; დამოუკიდებლად შეადგინონ აკადემიური სასწავლო პროგრამა, სახელმძღვანელოს სახით მოამზადონ ახალი სასწავლო სალექციო კურსი და განახორციელონ მისი სწავლება ახალი მეთოდოლოგიების გამოყენებით. დოქტორანტურის კურსდამთავრებულებმა დამოუკიდებლად უნდა მოახერხონ მიღებული ცოდნის გავრცობა და გადაცემა.

ბ.ვ) ღირებულებები:

პროგრამის კურსდამთავრებულებს ჩამოუყალიბდებათ აკადემიური პასუხისმგებლობა საზოგადოებისა და სამეცნიერო წრეების წინაშე; გამოუმუშავდებათ კრიტიკული დამოკიდებულება ანალიტიკურ სტატიებსა, სამეცნიერო ნაშრომებში, ა.შ. არსებული მიკერძოებების მიმართ. სადოქტორო კურსის ძირითადი მიზანი სამეცნიერო ღირებულებებისადმი პატივისცემის გაღვივებაა, რომლებიც მოიცავს სამეცნიერო ეთიკის დაცვას, პლაგიატის გამორიცხვას, კვლევის ობიექტის მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობის გათავისებას.

გ. კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები

გენდერის კვლევის საერთაშორისო სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ დაიკავონ აკადემიური პერსონალის (ასისტენტ-პროფესორის, ხოლო საჭირო სტაჟის შემდეგ ასოცირებული, ან სრული პროფესორის) თანამდებობები უმაღლეს სასწავლებლებში და წარმართონ სწავლება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სხვადასხვა აკადემიურ პროგრამებში სამივე საფეხურზე: ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში. კურსდამთავრებულებს შეეძლებათ გაწიონ გენდერის სფეროში კვალიფიციური ექსპერტის სამუშაო როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო დონეზე და იმუშაონ სამთავრობო, ან არასამთავრობო ორგანიზაციებში, დაგეგმონ და განახორციელონ მაღალი ხარისხის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევა და შეაფასონ სხვა მეცნიერებების მიერ ჩატარებული კვლევები.

5. სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

აპლიკანტები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

- ფლობდეს **მაგისტრის აკადემიურ ხარისხს.** მაგისტრის ხარისხი სოციალურ მეცნიერებებში, განსაკუთრებით გენდერის კვლევაში სასურველია.
- ინგლისური ენის ცოდნა - **B2 დონე** - აპლიკანტმა უნდა ჩააბაროს მისაღები გამოცდა თსუ-ს ენების ცენტრში ან წარმოადგინოს ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერთიფიკატი (TOEFL IBT , IELTS 6, ან რომელიმე სხვა საერთაშორისო ტესტი). აპლიკანტებს, რომლებსაც განათლება მიღებული აქვთ საზღვარგარეთ (გავლილი აქვთ ინგლისურენოვანი პროგრამები) გამოცდის ჩაბარება ან სერთიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვებათ.
- ჰქონდეს გენდერის კვლევის სამაგისტრო პროგრამიდან ძირეული კურსების შესაბამისი ცოდნა. აპლიკანტმა, რომელსაც არ ექნება მიღებული გენდერის ან ქალთა საკითხებში მაგისტრის აკადემიური ხარისხი, უნდა ჩააბაროს მისაღები გამოცდა სპეციალობაში, „გენდერის კვლევის“ სამაგისტრო პროგრამის ძირითადი კურსების საკითხავი მასალის შესწავლისა და წინასწარი მომზადების შედეგად. აღნიშნული საკითხავი მასალა და საგამოცდო საკითხები წინასწარ იქნება ხელმისაწვდომი პოტენციური აპლიკანტებისთვის.

მიღების პროცედურა:

გარდა უნივერსიტეტის მიერ მოთხოვნილი სააპლიკაციო პაკეტისა, აპლიკანტებმა დამატებით უნდა წამოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

1. სამოტივაციო წერილი (აპლიკანტებმა უნდა აღწერონ საკუთარი აკადემიური და პროფესიული გამოცდილება, განიხილონ კარიერასტან დაკავშირებული სამომავლო მიზნები და ნათლად ახსნან თუ რატომ სურთ აღნიშნულ პროგრამაზე სწავლა. მათ ასევე უნდა მოიხსენიონ საკითხი, რომლის კვლევაც სურთ)

2. წერილობითი ნამუშევრის ნიმუში (კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ ათგვერდიანი ნიმუში. განხილული საკითხები დაკავშირებული უნდა იყოს გენდერის კვლევასთან ან სოციალური მეცნიერებების სხვა საკითხებთან)

3. წიგნის ერთგვერდიანი მიმოხილვა (აპლიკანტებმა უნდა მიმოიხილონ ნებისმიერი წიგნი გენდერის თემატიკაზე , რომელიც მათ ბოლო დროს წაიკითხეს. მათ უნდა აღნიშნონ რას ეხებოდა წიგნი, რა ისწავლეს მისგან და რატომ მოეწონათ (ან არ მოეწონათ) წიგნი)

6. პროგრამის დიზაინი

სწავლების ენა: ინგლისური
სწავლების ხანგრძლივობა: 3 წელი

სტუდენტებს მოეთხოვებათ სასწავლო კომპონენტის დაფარვა - არსებითი (დისციპლინისთვის დამახასიათებელი ძირითადი სემინარები), სემინარები კვლევის დიზაინში და აკადემიური პრაქტიკა (პედაგოგიკა, აკადემიური წერა/ჟურნალის სტატია, საგრანტო განაცხადი და აკადემიური პროგრამის ადმინისტრირება) - რასაც დაეთმობა პირველი ოთხი სემესტრი. კვლევა და სადოქტორო ნაშრომზე მუშაობა მიმდინარეობს პარალელურ რეჟიმში, საბოლოო სახით დისერტაციის დაწერა და დაცვა მეხუთე და მეექვსე სემესტრში.

სადოქტორო პროგრამისთვის კანონით განსაზღვრულია მინიმუმ **180 კრედიტის (ECTS)** დაფარვა, რომლის ძირითადი ნაწილი სტუდენტს ენიჭება დამოუკიდებელი კვლევისთვის. მთლიანი პროგრამა გაყოფილია ორ კომპონენტად **1) სწავლება (60 ECTS), 2) კვლევა (120 ECTS).**

1) სასწავლო კომპონენტი

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი შეადგენს მინიმუმ 60 კრედიტს (ECTS), რომელიც იყოფა შემდეგ კომპონენტებად:

- **15 კრედიტი (ECTS) - დისციპლინისთვის დამახასიათებელი ძირითადი სემინარები**
- **25 კრედიტი (ECTS) - ტრენინგი კვლევით მეთოდებში**
- **10 კრედიტი (ECTS) - სადოქტორო კოლოკვიუმი I და II**
- **5 კრედიტი (ECTS) - სწავლების მეთოდები**
- **5 კრედიტი (ECTS) - პროფესორის ასისტენტობა**

ტრენინგს აქვს სამი ძირითადი მიზანი:

- ხელი შეუწყოს სტუდენტების სადოქტორო კვლევის წარმოებას;
- გააღრმავოს სტუდენტების ცოდნა დისციპლინაში;
- გააძლიეროს სტუდენტების უნარები, როგორც აკადემიური სპეციალისტების.

საერთაშორისო სადოქტორო პროგრამის "გენდერის კვლევა" კურიკულუმს აქვს სამი ძირითადი მიმართულება: არსებითი, მეთოდოლოგიური, და მზადება აკადემიური პრაქტიკისთვის. სადოქტორო პროგრამას გენდერის კვლევაში ექნება ძლიერ აქცენტი ინტერდისციპლინურ სწავლებებზე. აქედან გამომდინარე, სტუდენტებს არ მოეთხოვებათ აკადემიური ხარისხის ქონა გენდერის ან ქალთა საკითხების შესწავლაში. პროგრამაზე ჩაბარება შეეძლება ნებისმიერ მსურველს, რომელსაც ექნება მაგისტრის ხარისხი ნებისმიერ სხვა დარგში.

1) **სასწავლო კომპონენტი, 60 კრედიტი**

<u>**კვლევის მეთოდების მოდული:**</u>

პროგრამის სტუდენტები ვალდებულები არიან გაიარონ **სავალდებულო სადოქტორო კვლევის მეთოდების სალექციო კურსები სწავლის დაწყებიდან პირველი სამი სემესტრის** განმავლობაში:

- სოციალურ მეცნიერებათა ფილოსოფია, 5 კრედიტი
- შესავალი გამოყენებით სტატისტიკაში SPSS-ის ელემენტებით, 5 კრედიტი
- სოციალური კვლევის მეთოდები, 5 კრედიტი

<u>**პირველი სემესტრი:**</u>

- არსებითი: საკითხთან დაკავშირებული სემინარი (1): თანამედროვე ფემინისტური თეორიები (ფემინისტური ფილოსოფია), 5 კრედიტი
- მეთოდი: კვლევის დიზაინი (1): გენდერის კვლევის მეთოდები: კვლევითი კითხვის დასმა და პროექტის წერა (ნაწილი I), 4 კრედიტი

<u>**მეორე სემესტრი:**</u>

- მეთოდი: კვლევის დიზაინი (2): გენდერის კვლევის მეთოდები: კვლევითი კითხვის დასმა და პროექტის წერა (ნაწილი II), 2 კრედიტი

<u>**მესამე სემესტრი:**</u>

- არსებითი: საკითხთან დაკავშირებული სემინარი (2): თანამედროვე დებატები ფემინისტურ თეორიაში (ნაწილი I), 5 კრედიტი
- სწავლების თანამედროვე მეთოდები, 5 კრედიტი
- მეთოდი: კვლევის დიზაინი (3): გენდერის კვლევის მეთოდები: კვლევითი პროექტის მომზადება და დაცვა (ნაწილი III), 4 კრედიტი

<u>**მეოთხე სემესტრი:**</u>

- არსებითი: საკითხთან დაკავშირებული სემინარი (3): თანამედროვე დებატები ფემინისტურ თეორიაში (ნაწილი II), 5 კრედიტი
- სადოქტორო კოლოკვიუმი I: ფემინისტური პედაგოგიკა, 5 კრედიტი
- სადოქტორო კოლოკვიუმი II: ჟურნალის სტატიის მომზადება, 5 კრედიტი
- პროფესორის ასისტენტობა, 5 კრედიტი[1]

2) ***კვლევითი კომპონენტი***

კვლევით კომპონენტის კრედიტების რაოდენობა შეადგენს 120 კრედიტს:

- კოლოკვიუმი 1 – 20 კრედიტი;
- კოლოკვიუმი 2 – 20 კრედიტი;
- სადოქტორო ნაშრომის მომზადება და დაცვა - 80 კრედიტი.

[1] აღნიშნული კომპონენტი შეიძლება დაიფაროს V და VI სემესტრებშიც.

#	კურსი/სემინარი	საკონტაქტო საათები	კრედიტი (ECTS)	სწავლების ფორმა	ლექტორი
კვლევის მეთოდების მოდული					
0.1	სოციალურ მეცნიერებათა ფილოსოფია	30	5	I, II ან III სემესტრი	დრ. თამარ ცხადაძე
0.2	შესავალი გამოყენებით სტატისტიკაში SPSS-ის ელემენტებით	30	5	I, II ან III სემესტრი	დრ. ლილი ხეჩუაშვილი
0.3	სოციალური კვლევის მეთოდები	30	5	I, II ან III სემესტრი	დრ. თამარ ზურაბიშვილი
კრედიტების რაოდენობა			**15**		
I სემესტრი					
1.1	თანამედროვე ფემინისტური თეორიები (ფემინისტური ფილოსოფია)	15	5		დრ. თამარ ცხადაძე
1.2	გენდერის კვლევის მეთოდები: კვლევითი კითხვის დასმა და პროექტის წერა (ნაწილი I)	15	4		პროფ. ჯოანა რეგულსკა
კრედიტების რაოდენობა			**9**		
II სემესტრი					
2.1	გენდერის კვლევის მეთოდები: კვლევითი კითხვის დასმა და პროექტის წერა (ნაწილი II)	15	2		პროფ. ჯოანა რეგულსკა, პროფ. ფრ. დე ჰაანი
კრედიტების რაოდენობა			**2**		
III სემესტრი					
3.1	თანამედროვე დებატები ფემინისტურ თეორიაში (ნაწილი I)	30	5	სემინარი	დრ. თამარ ცხადაძე
3.2	სწავლების თანამედროვე მეთოდები	30	5		ეთერ ღვინერია
3.3	გენდერის კვლევის მეთოდები: კვლევითი პროექტის მომზადება და დაცვა (ნაწილი III)	15	4	სემინარი	პროფ. ჯოანა რეგულსკა
კრედიტების რაოდენობა			**14**		
IV სემესტრი					
4.1	თანამედროვე დებატები ფემინისტურ თეორიაში (ნაწილი II)	15	5	სემინარი	დრ. პარვის გასემ-ფაჩანდი
4.2	სადოქტორო კოლოკვიუმი I - ფემინისტური პედაგოგიკა	15	5	სემინარი	პროფ. ჯოანა რეგულსკა; დრ. დარია ზავირსეკი
4.3	სადოქტორო კოლოკვიუმი II - ჟურნალის სტატიის მომზადება	15	5	სემინარი	პროფ. ფრან მაშია-ლის; პროფ. მერი ჰოკსუორტი
4.5	პროფესორის ასისტენტობა*	15	5		
კრედიტების რაოდენობა			**20**		
კრედიტების რაოდენობა სასწავლო კომპონენტში			**60**		
V-VIII სემესტრები კვლევითი კომპონენტი					
6.1	კოლოკვიუმი 1		20		
6.2	კოლოკვიუმი 2		20		
6.3	სადოქტორო ნაშრომის მომზადება და დაცვა **		80		
კრედიტების რაოდენობა კვლევით კომპონენტში			**120**		
კრედიტების საერთო რაოდენობა			**180**		

** სადოქტორო პროგრამის სტუდენტები ლექციებს წაიკითხავენ შეზღუდული ინტენსივობით, რაც შეადგენს მათი სადოქტორო სწავლების ნაწილს. გარდა საკუთარი კვლევისა და სწავლისა, სადოქტორო პროგრამის სტუდენტები ჩართულები იქნებიან საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლებაში.*

*** სადოქტორო ნაშრომზე მუშაობა და კვლევა სასწავლო კომპონენტის პარალელურად მიმდინარეობს პირველივე სემესტრიდან, კვლევითი პროექტის დაცვა ხდება მესამე სემესტრის ბოლოს; სადოქტორო ნაშრომის დაცვა - მეექვსე სემესტრის ბოლოს.*

7. შეფასების წესი:

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულათა მაქსიმალური რაოდენობიდან	შეფასება	შეფასების კვალიფიკაცია	შეფასების GPA
91%–ზე მეტი	(A) „ფრიადი“	დადებითი	4.0
81 – 90%	(B) „ძალიან კარგი“	დადებითი	3.0
71– 80%	(C) „კარგი“	დადებითი	2.0
61 – 70%	(D) „დამაკმაყოფილებელი“	დადებითი	1.0
51 – 60%	(E) „საკმარისი“	დადებითი	0.5
41 – 50%	(FX) „ვერ ჩააბარა“	უარყოფითი	0.0
40% და ნაკლები	(F) „ჩაიჭრა“	უარყოფითი	0.0

FX შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება, ხოლო F შეფასების შემთხვევაში სტუდენტმა კრედიტების მისაღებად კურსი თავიდან უნდა გაიაროს.

- სადისერტაციო ნაშრომი ფასდება საუნივერსიტეტო სტანდარტის შესაბამისად.

ფრიადი (summa cum laude)	შესანიშნავი ნაშრომი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი
ძალიან კარგი (magna cum laude)	შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
კარგი (cum laude)	შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
საშუალო (bene)	შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
დამაკმაყოფილებელი (rite)	შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 51-60%;
არადამაკმაყოფილებელი (insufficienter)	შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 41-50%;
სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone)	შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები

არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში, სტუდენტს ეძლევა ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული დისერტაციის წარდგენის საშუალება.

სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში სტუდენტი კარგავს იგივე დისერტაციის წარდგენის უფლებას.

8. სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

პროგრამის სტუდენტებს უფლება აქვთ ისარგებლონ სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ბიბლიოთეკით, რომელიც გამიზნულია სპეციალურად სოციალური მეცნიერებებისთვის; მსგავსი ტიპის ბიბლიოთეკები მცირე რაოდენობით თუ მოიპოვება საქართველოში. აღნიშნული ბიბლიოთეკა გამოიყენება როგორც თსუ-ს სტუდენტების, ასევე აკადემიური პერსონალის მიერაც. პროგრამის სტუდენტებს ასევე უფლება აქვთ ისარგებლონ სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ბაზაზე არსებული კომპიუტერული ტექნიკით.

9. პროგრამაზე შესაძლებელია 7 დოქტორანტის მიღება

10. თანდართულ ფაილში იხილეთ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის ბიოგრაფიული მონაცემები (CV)

11. საკონტაქტო პირი:

გიორგი ხელაშვილი, თსუ-ს ასისტენტ პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის პროექტის „სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე“ დირექტორი
gkhelashvili@ucss.ge, 599 250016

მანანა მიქაბერიძე, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ადმინისტრაციული დირექტორი
m.mikaberidze@css.ge, 599585345

დიანა ლეჟავა, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის სადოქტორო ტრენინგის კოორდინატორი
d.lezhava@css.ge, 595559284

12. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან და დოქტორანტების სწავლის საფასურით. ასევე, პროგრამა, შემუშავებულია სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის გრანტის ფარგლებში (კოდი: EO476), შესაბამისად პროგრამაში ჩართული უცხოელი ხელმძღვანელისა და ლექტორების დაფინანსებას ახორციელებს სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.